N282 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №430 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2011, 340030000.10.033.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „რ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ვეტერინარული სერტიფიკატი თევზისაგან წარმოებული სურსათის, კიბოსნაირების, მოლუსკების, რეწვის სხვა ობიექტებისა და მათი გადამუშავების პროდუქტების საბაჟო კავშირის ბელორუსის რესპუბლიკის,

ყაზახეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საბაჟო ტერიტორიაზე ექსპორტისათვის (დანართი №17).“.

2. დადგენილებას დაემატოს №17 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**